

მანანა ბაქრაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

manana_bakradze@yahoo.de<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.11>

მრავალენოვნება, მისი ასპექტები, ფორმები და მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში

საკვანძო სიტყვები: მრავალენოვნება, პრიორიტეტული ენები, ენათა სპეციფიკა

მოხსენებაში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: თუ რა იგულისხმება რეალურად „მრავალენოვნებაში“? რა ასპექტები და ფორმები გამოიკვეთა მრავალენოვნების კვლევისას? რატომ დგას დღევანდელ რეალობაში რაც შეიძლება მეტი ენის დაუფლების აუცილებლობა და რა უპირატესობები გააჩნია მათ, ვინც ბევრ ენას ფლობს? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები იკვეთება ორი ან მეტი ენის დაუფლებისას?

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდება საზღვარგარეთ გამგზავრების შესაძლებლობები და სურვილები, ხანდახან აუცილებლობაც კი. როგორიცაა, მაგალითად, სტუდენტენტა და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები, სასწავლო ვიზიტები, საზაფხულო სამუშაოები, პარტნიორული ურთიერთობები, სხვადასხვა სახის საერთაშორისო პროექტები და ა.შ. ასევე ადგილი აქვს ეკონომიკურ ან პოლიტიკურ მიზეზებსაც; მაგ. მიგრაცია: ბევრი იძულებულია დატოვოს საკუთარი სამშობლო, მშობლები, შვილები, ოჯახი, ნათესავები, მეგობრები და სცადოს უცხო ქვეყანაში ინტეგრირება. განსაკუთრებით პოპულარულია გერმანულენოვანი ქვეყნები, როგორიცაა გერმანია, და ავსტრია, მაგრამ ასევე იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი და ამერიკის შეერთებული შტატებიც. იქ უცხოელთა რიცხვი თითქმის ყოველდღიურად იზრდება. უცხო ქვეყნებში უბრალოდ არსებობისთვისაც კი აუცილებელია შესაბამისი ქვეყნის არამარტო ენის, არამედ მისი კულტურის ცოდნაც. ამ ყველაფერს კი აშკარად მივყავართ კულტურათაშორის კომუნიკაციამდე და ასევე მრავალენოვნებამდე, რაც მიუთითებს პიროვნებაზე, რომელიც საუბრობს ორ ან მეტ ენაზე; და სწორედ აქ იჩენს თავს პრობლემები, რადგან ინტერკულტურული და ენობრივი სწავლება ხდება ხშირ შემთხვევაში მასპინძელ ქვეყანაში, სადაც ძნელია სრულიად განსხვავებული სპეციფიკის ენების ერთმანეთისგან გამიჯვნა და მათი სრულყოფილი შესწავლა. და მაინც რა მოიაზრება „მრავალენოვნება“ ან „მულტილინგვიზმი“ ცნების ქვეშ?

მულტილინგვიზმი არის მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი ჩვენს გლობალიზებულ საზოგადოებაში, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდისთვის, ასევე საზოგადოებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ენის დაუფლება უაღრესად რთული საქმეა, ადამიანებს შეუძლიათ ისწავლონ და გამოიყენონ რამდენიმე ენა მათი ერთმანეთში აღრევის გარეშე. ადამიანებს, რომლებიც ძალიან კარგად ფლობენ ორ ენას,

შეუძლიათ სხვადასხვა ენას შორის გადართვაც კი მოქნილად, სწრაფად და თავდაჯერებულად, თუ იმ პირს, რომელსაც ესაუბრება, აქვს ენის იგივე დონე. დადგენილია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მრავალენოვანია. მაგრამ ვინ ითვლება რეალურად მრავალენოვანად? და რით შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა მრავალენოვანი ადამიანი ერთმანეთისგან? მულტილინგვიზმის საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. ზოგიერთი მიდგომა ეფუძნება ძალიან ვიწრო განმარტებებს, რომლის მიხედვითაც მულტილინგვად ითვლება მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც დაბადებიდან ერთზე მეტ ენას დაეუფლნენ. ლინგვისტიკაში ტერმინი მულტილინგვიზმი ხშირად გამოიყენება ბილინგვიზმის სინონიმად. Metzler Lexikon Sprache ამას შემდეგნაირად განსაზღვრავს: ტერმინი გამოიყენება ინდივიდების ან სოციალური საზოგადოების მდგომარეობის აღსანიშნავად, რომლებიც იყენებენ ორ განსხვავებულ ენას ყოველდღიურ კომუნიკაციაში.¹ (თარგმანი მ.ბ.) მაგრამ არსებობს ამ ტერმინის კიდევ უფრო ზუსტი განმარტება: ტერმინი მულტილინგვიზმი ეხება ადამიანს, რომელსაც შეუძლია კომუნიკაცია რამდენიმე ენაზე (ზოგადად სამ ან მეტ ენაზე). მაგ., ქართველი, რომელიც მშობლიური ენის გარდა საუბრობს ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ და შვედურ ენაზე, მრავალენოვანია, მაგრამ ამ დროს არ არის იმის აუცილებლობა, რომ პიროვნება ყველა შემოთქამოთვლილ ენას თავისუფლად ფლობდეს. საკმარისი ენობრივი ცოდნა აადვილებს სხვადასხვა თანამოსაუბრესთან კომუნიკაციას.

„ორენოვნებაზე“ ან „ბილინგვიზმზე“ საუბარია როდესაც ადამიანი თავისუფლად ფლობს ორ ენას და „სამენოვნებაზე“ ან „ტრილინგვიზმზე“, როდესაც ადამიანი თავისუფლად ფლობს სამ ენას. თუ ადამიანი საუბრობს სამ ან მეტ ენაზე, ის შეიძლება შეფასდეს როგორც მრავალენოვანი ან პოლიგლოტი, მაგრამ პოლიგლოტი, მრავალენოვნისგან განსხვავებით, თავისუფლად უნდა საუბრობდეს შესწავლილ ენებზე. ტერმინი „ერთენოვნება“ ან „მონოლინგვიზმი“ გამოიყენება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც საუბრობენ მხოლოდერთ ენაზე. გერმანულ ენაში ცნება „vielsprachig“, ხოლო ქართულში „მულტიენოვანი“, გამოიყენება ქვეყნის, ადგილის ან დაწესებულების აღსაწერად, სადაც რამდენიმე ენაზე საუბრობენ; ტერმინი „mehrsprachig“ „მრავალენოვანი“ კი გამოიყენება იმ ადამიანების დასახასიათებლად, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი აზრის გამოხატვა რამდენიმე ენაზე. ამიტომ გამოხატვის ეს ფორმები არ უნდა იყოს აღრეული. სტატისტიკურად, მსოფლიოში უფრო მეტი მულტილინგვური ადამიანია, ვიდრე ერთენოვანი: მაგ., აფრიკის სახელმწიფოებში, ინდოეთში, აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის დიდ ნაწილში. ამიტომ, მულტილინგვიზმის მრავალი მკვლევარი თვლის, რომ მრავალენოვნება არის წესი, ხოლო მონოლინგვიზმი გამონაკლისი. განასხვავებენ მულტილინგვიზმის სამ ტიპს: *ინდივიდუალური*, *ტერიტორიული* და *ინსტიტუციური*². მაშინ როცა *ინდივიდუალური* მულტილინგვიზმი ეხება ინდივიდუალურ მოსაუბრეს, *ტერიტორიული* მულტილინგვიზმი ეხება ენების გამოყენებას მულტიენოვან

¹ Metzler Lexikon Sprache. Herausgegeben von Helmut Glück, Verlag: J.B. Metzler, Stuttgart, 2000, S. 110

² Lüdi, G./Py, B.: „Die Sprachenwahl und ihre Erklärung. In: Zweisprachig durch Migration. Einführung in die Erforschung der Mehrsprachigkeit am Beispiel zweier Zuwanderergruppen in Neuenburg (Schweiz)“. Band 24 (Romanistische Arbeitshefte) Max Niemeyer Verlag, 1984, 4.

სახელმწიფოებსა ან რეგიონებში, ხოლო *ინსტიტუციური* მულტილინგვიზმი გულისხმობს მრავალი სამუშაო ენის გამოყენებას ინსტიტუტებში. ზოგიერთ შემთხვევაში, მულტიენოვან სახელმწიფოებში, ენები განაწილებულია ტერიტორიებზე, მაგ., შვეიცარიასა და ბელგიაში, ან უმცირესობათა რეგიონებში, როგორიცაა სამხრეთ ტიროლი ან ელზასი. თუმცა, ეს ასე არ არის უმეტეს ქვეყანაში. მაგ., აფრიკის თითქმის ყველა ქვეყანაში არა მხოლოდ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ საერთო საზღვრების ფარგლებში, არამედ ერთი და იგივე მოლაპარაკე საუბრობს რამდენიმე ენაზე ერთი და იგივე ტერიტორიის ფარგლებში. მულტილინგვიზმის ეს ფორმა გამონაკლისი აღარ არის თანამედროვე ევროპის ქვეყნებში. ევროპის მრავალეროვნული და მრავალენოვანი მოსახლეობის სტრუქტურა განიცდის პროპორციულ ცვლილებას ძირძველი/ადგილობრივი (ავტოქთონური) უმცირესობების თანაფარდობაში - როგორიცაა გერმანელები სამხრეთ ტიროლსა და ელზასში, ან დანიელები და სორბები გერმანიასა და მიგრანტ (ალოქთონურ) უმცირესობებში, რომელთა დაყოფაც შესაძლებელია სამ ჯგუფად:¹ 1) სოციალურად დაუცველი მიგრანტები, ძირითადად ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან; 2) საშუალო კლასის წევრები (მაგ., კვალიფიციური მუშები) სხვა ევროპული ქვეყნებიდან 3) მდიდარი ქვეყნების წარმომადგენლები, როგორიცაა დიპლომატები, ევროკრატები ან კულტურული სფეროს წარმომადგენლები. განსხვავებული ფორმები და კრიტერიუმები მრავალენოვან ჯგუფებში ასევე გვთავაზობენ განსხვავებულ წინაპირობებს ინდივიდებს შორის მულტილინგვიზმის შესაბამისი ფორმებისთვის.

ინდივიდუალური მულტილინგვიზმის განსაზღვრისას, დღეს ენათმეცნიერები აღარ იხრებიან ისეთი ნორმატიული დეფინიციებისკენ, როგორიც ეს იყო 50 ან 60 წლის წინ, როდესაც ვარაუდობდნენ, რომ მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც აქვს ორივე ენაში თანაბარი კომპეტენცია და ორივე ენა ბავშვობიდან ერთდროულად ისწავლა, შეიძლება იყოს ორენოვანი.² ეს ვარაუდი არარეალურია, რადგან მრავალენოვანი ადამიანი იშვიათად ახერხებს ცხოვრებისეული ყველა სიტუაციის ერთნაირად ოსტატურად მართვას ორივე (ან მეტ) ენაზე და ასევე შეიძლება შეიძინოს ენაში ძალიან მაღალი დონის კომპეტენცია ბავშვობის ასაკიდან გასვლის შემდეგაც კი. პრინციპში, უნდა ვივარაუდოთ, რომ გამონაკლისს წარმოადგენს სრულყოფილი მულტილინგვიზმის შემთხვევა, ანუ მშობლიური ენის შესაბამისი კომპეტენცია ორ ან მეტ ენაზე. ეს საკმაოდ იდეალური ტიპია და უკეთესი იქნებოდა საუბარი დიფერენცირებულ მულტილინგვიზმზე. ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია ენის გამოყენება სხვადასხვა სფეროში ან სხვადასხვა სოციალურ როლში სხვადასხვა კომუნიკაციური მიღწევებით. მულტილინგვიზმის წინაპირობაა, რომ მრავალენოვანი ადამიანი ადვილად გადაერთოს ერთი ენიდან მეორეზე უმეტეს სიტუაციებში, როცა ეს აუცილებელია. ენებს შორის ურთიერთობა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. სიტუაციიდან ან თემიდან გამომდინარე, მოსაუბრე შეიძლება უკეთესად მეტყველებდეს ერთ ენაზე, ვიდრე მეორეზე. გარდა ამისა, ერთი ენა ჩვეულებრივ უფრო დომინანტურია, ვიდრე მეორე, მაგრამ ეს შეიძლება შეიცვალოს

¹ Ammon, U./Mattheier, K./Nelde, P.H. (1991): "Status und Funktion der Sprachen in den Institutionen der Europäischen Gemeinschaft". In: Mehrsprachigkeit in Europa-Hindernis oder Chance? Perspektiven für Europa. Helfrich, U./Riehl C.M. (Hrsg). Gottfried Egert Verlag 1994. S.119.

² Oksaar, E.: "Zweitspracherwerb. Wege zur Mehrsprachigkeit und zur interkulturellen Verständigung". Stuttgart: Kohlhammer 2003. S.27

ადამიანის ცხოვრების განმავლობაში. სიტუაციები, რომლებშიც გამოიყენება ენები, ასევე შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან: მაგ., მრავალენოვანი მოსაუბრე შეიძლება ორ ან მეტ ენას იყენებდეს ყოველდღიურად სხვადასხვა სიტუაციებში, ან ერთ ენას მოზარდობის ასაკში, მეორეს კი ზრდასრულ ასაკში. ზოგიერთ მოსაუბრეს ასევე აქვს ე.წ. „შაბათ-კვირის ენა“, რომელზეც საუბრობს ყოველ შაბათ-კვირას ოჯახში დაბრუნებისას და „კვირის ენა“, რომელიც აუცილებელია ყოველდღიურ საჭიროებებისათვის. გარდა ამისა, შესაძლოა, მოსაუბრე ერთ ენას იყენებდეს მხოლოდ სალაპარაკო ფორმით, ხოლო მეორეს უმეტესად წერილობით¹. ეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს გამოყოფს, კერძოდ, განსხვავებას ზეპირ და წერილობით მრავალენოვნებას შორის.

არსებობს მულტილინგვური სწავლების ორი განსხვავებული ტიპი: *უმართავი* (ან ბუნებრივი) გზით ენის დაუფლება და *მართავი*, ანუ მეორე ენის ათვისება სწავლებისა და მეცადინეობების გზით. თუმცა, ამ ორი ფორმის ერთმანეთისაგან გამოიჯვნა, როგორც წესი, შეუძლებელია. ხშირ შემთხვევაში ორივე ვარიანტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, მაგ. მიგრანტ ბავშვებში. ისინი სწავლობენ მასპინძელი ქვეყნის ენას თანატოლებთან ურთიერთობისას და მათ გარემოში უმართავად/უკონტროლოდ და ამავე დროს სკოლაში კონტროლირებადი/მართავი სახით. მეორე ენის უკონტროლო (ბუნებრივი) ათვისების ორი შესაძლებლობა არსებობს: მეორე ენას ეუფლება პატარა ბავშვობაში პირველ ენასთან ერთად, ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ ე.წ. „ორენოვანის მიერ პირველი ენის ათვისებაზე“ (დაახლოებით სამ წლამდე), ან ენას მოგვიანებით სწავლობს, როგორც მოზარდი ან ზრდასრული². ამის საფუძველზე გამოიყოფა ენის ათვისების შემდეგი ფორმები: 1. *მრავალი ენის ადრეულბავშვური, ერთდროული ათვისება*: ანუ, ბავშვი დაბადებიდან ერთდროულად სწავლობს ორ ან მეტ ენას. 2. *მეორე ენის ადრეული თანმიმდევრული ათვისება* (3-6 წელი): პირველი ენის საფუძვლების დაუფლების შემდეგ, ბავშვი სწავლობს მეორე ენას დროის შემდგომ პერიოდში, მაგ., საბავშვო ბაღში შესვლის გზით. 3. *მეორე ენის დაგვიანებული თანმიმდევრული ათვისება* (12 წლიდან): კარგად შესწავლილი და განვითარებული პირველი ენის შემდეგ, ბავშვი სწავლობს მეორე ენას დროის შემდგომ ეტაპზე, მაგ. სხვა ქვეყანაში გადასვლისას. ორენოვანი პიროვნების მიერ პირველი ენის შესწავლისას კი, ანუ როდესაც ადამიანი ადრეული ასაკიდან სწავლობს ორ ენას, კვლავ არსებობს სხვადასხვა პირობები, რომლებსაც შეუძლიათ დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოახდინონ ენის ათვისებაზე: ოჯახის ენა (L1), გარემოს ენა (L2) (ბაღი, გარე სამყარო). შერეულენოვანი ოჯახები (მამა საუბრობს L1, დედა საუბრობს L2) სხვა ენობრივ გარემოში (L3). აქ გადამწყვეტია, არის თუ არა ენები შერეულად გამოყენებული ორენოვან ოჯახებში. ამ პრინციპის თანახმად, თითოეულმა მშობელმა ბავშვებთან უნდა ისაუბროს მშობლიურ ენაზე (ან ძირითად ენაზე). ეს მნიშვნელოვანია ბავშვების ენის ათვისებისთვის, რადგან ენის გამოყენება კონკრეტულ ადამიანებთან არის დაკავშირებული. მაგ., თავად

¹Lüdi, G./Py,B.: „Die Sprachenwahl und ihre Erklärung.In: Zweisprachig durch Migration.Einführung in die Erforschung der Mehrsprachigkeit am Beispiel zweier Zuwanderergruppen in Neuenburg (Schweiz)“. Band 24 (Romanistische Arbeitshefte)Max Niemeyer Verlag,1984,8.

²Riehl,C.M: „Aspekte der Mehrsprachigkeit: Formen, Vorteile, Bedeutung“. In:Kölner Beiträge zur Sprachdidaktik. Herausgegeben von Hartmut Günther, Ursula Bredel & Michael Becker-Mrotzek Reihe A Detlef Heints Jürgen Eugen Müller Ludger Reiberg Mehrsprachigkeit macht Schule KöBeS (4) Gilles & Francke Verlag. 2006. S.17

ბავშვები განასხვავებენ დედის ენას და მამის ენას, როდესაც ისინი აყალიბებენ თავიანთ ორენოვან ლექსიკონს, გარდა ამისა, მშობლები თავიანთი მშობლიური ენის მუდმივი გამოყენებით გამოხატავენ გარკვეულ სოლიდარობას ამ ენის მიმართ, რაც აძლიერებს მის პრესტიჟს. მაგრამ ამ პრინციპს ასევე აქვს უარყოფითი მხარეები, მაგალითად, თუ ერთ-ერთი პარტნიორი ერთენოვანია, მაშინ გამორიცხულია ოჯახური საუბრის ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ „ერთი ადამიანი - ერთი ენა“ პრინციპი არაერთხელ არის ხაზგასმული ბილინგვიზმის კვლევაში, როგორც ერთადერთი გონივრული, არსებობს კვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ბავშვებში, რომლებიც ექვემდებარებიან შერეულ უნარს, არ შეიმჩნევა ენის არასწორი დაუფლება. მთავარი განსხვავება, ალბათ, მდგომარეობს ბავშვის ცნობიერებაში, რომ ის საუბრობს ორ ენაზე ("დედის ენა" და "მამის ენა"). ეს ვლინდება ძალიან ადრეულ ეტაპზე „ერთი ადამიანი-ერთი ენა“ პრინციპით აღზრდილ ბავშვებში. მსგავსი რამ შეიძლება ითქვას ბავშვებზე, რომლებიც იზრდებიან ოჯახის საერთო სასაუბრო ენით და განსხვავებული გარემოს ენით, როგორც ეს ხდება მიგრანტი ბავშვების უმეტესობის შემთხვევაში. აქაც მნიშვნელოვანია ბავშვების ენის ათვისებისთვის, რომ მშობლებმა გააზრებულად გამოიყენონ მშობლიური ენა და არ არიონ ენები. გარდა ენობრივი ცოდნისა, რომელიც უკვე აღვნიშნეთ, არის სხვა უპირატესობები, რომლებიც მრავალენოვან ბავშვებს აქვთ: *ადრეული მულტილინგვიზმის უპირატესობები*: ტვინის კვლევის შედეგებმა აჩვენებს, რომ ადრეულ მულტილინგვიზმში (ანუ როცა მეორე ენას სწავლობენ ექვს წლამდე) ენები ძალიან კომპაქტურად არის წარმოდგენილი ტვინის ენობრივ არეალში და თითქმის მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. ეს ნიშნავს, რომ მოსაუბრეებს მეორე ენაზე საუბრისას სჭირდებათ ტვინის ნივთიერების ნაკლები რაოდენობის გააქტიურება, ვიდრე მოსაუბრეებს, რომლებმაც მეორე ენა გვიან შეისწავლეს (დაახლოებით 10 წლის ასაკიდან). მათში გაცილებით ნაკლებია გადაფარვა. ეს ასევე ეხება მესამე (ან დამატებით) ენის შესწავლას: აქაც, ადრეულ მულტილინგვიზმს აქვთ მნიშვნელოვანი უპირატესობა, რადგან მათ შეუძლიათ უშუალოდ დააყენონ დამატებითი ენები პირველი ორი ენის არეალში. *მრავალენოვანი ბავშვების შემცენებითი უპირატესობები*: ბავშვებში კოგნიტურ შესაძლებლობებზე სხვადასხვა ტესტების შედეგები აჩვენებს, რომ მრავალენოვან ბავშვებს ასევე აქვთ კოგნიტური უპირატესობები მონოლინგვიზმურად გაზრდილ ბავშვებთან შედარებით. ორენოვანი ბავშვები ბევრად უფრო მეტად ცნობენ არასწორ გრამატიკულ ფორმას, ვიდრე ერთენოვანი ბავშვები. ამის მიზეზი არის ის, რომ ისინი ყურადღებას ამახვილებენ ფორმასა და შინაარსზე. მათ უკეთ შეუძლიათ სიტყვათა საზღვრების ამოცნობა და გრამატიკული წესების გაგება, რადგან ისინი უფრო მეტ ყურადღებას იჩენენ. ამას ეწოდება "მეტალინგვისტური ცნობიერება". ფსიქოლინგვისტებმა ასევე დიდი ხანია აღმოაჩინეს, რომ არსებობს კავშირი მეტალინგვისტურ ცნობიერებასა და კითხვის სწავლას შორის. ავსტრალიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ორენოვანი ბავშვები ამ მხრივაც რამდენიმე თვით უსწრებენ ერთენოვან ბავშვებს. მიზეზი არის უკვე ნახსენები სიტყვების ამოცნობის უფრო ძლიერი უნარი. *თავისებურებები დამატებითი ენების სწავლისას*: • კოდის/ენის შეცვლა ეხება ავტომატურ გადართვას ორ ან მეტ ენას შორის, ერთი ენიდან მეორეზე გადასვლას საუბრისას. • კოდების შერევა ან ენის შერევა გულისხმობს პირველი და მეორე ენის სტრუქტურების გაერთიანებას. მესამე ენის შემსწავლელი უფრო თავდაჯერებულად მუშაობს ტექსტზე, კონკრეტულად ეძებს ნაცნობ სტრუქტურებსა და სიტყვებს. • სესხება: სიტყვების, გრამატიკული წესების ან სხვა ელემენტების გადატანა ერთი ენიდან მეორეში.

ტრანსფერები ასევე შეიძლება მოხდეს გამოთქმის, მეტყველების მელოდიის, ჟესტებისა და მიმიკის სფეროებში. ენის შერევა მრავალენოვანი ბავშვების (და მოზარდების) პრაგმატული უნარია და არა ენის დეფიციტი. ისინი იყენებენ სხვადასხვა ენებს, რომლებსაც ისინი ფლობენ, როგორც რესურსს და ამით აფართოებენ საკუთარი აზრის გამოხატვის უნარს. გარდა ნეირონული და შემეცნებითი უპირატესობებისა, არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი მულტილინგვიზმის შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც თან ახლავს მის განვითარებას: *ფსიქოლოგიური ასპექტი*: მრავალენოვანი ადამიანებისთვის, წარმოშობის ენა მოქმედებს, როგორც იდენტობის მატარებელი, ხოლო სამიზნე ენა ინტეგრირების საშუალებას იძლევა სხვა ენობრივ საზოგადოებაში. *სოციალური ასპექტი*: ენა საშუალებას აძლევს ადამიანებს „წაიკითხოთ“ ერთმანეთი. მრავალენოვან ადამიანებში ამ გზით კიდევ უფრო ფართოვდება „გაგების“ სპექტრი. *ენის პრაგმატული ასპექტი*: მრავალენოვან ადამიანებს უფრო დიფერენცირებული ხედვა აქვთ სამყაროზე. ისინი სწავლობენ სხვა პერსპექტივებს სხვა ენის ჭრილიდან და, შესაბამისად, უფრო მოქნილები არიან თავიანთ ქმედებებში.¹ მაგ., ზოგიერთ ენაში ერთი და იმავე აზრის გამოხატვის სრულიად განსხვავებული ენობრივი საშუალებებია, ან არის ბევრი გამონათქვამი, რომელიც ასახავს კულტურულ თავისებურებებს, რაც ერთგვარად *კულტურული ასპექტის* წინაპირობადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. მრავალენოვან ადამიანებს, განსაკუთრებით ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლებს, გააჩნიათ ე.წ. „ხიდის“ ფუნქცია, ანუ ისინი ასრულებენ ე.წ. შუამავლის როლს სხვადასხვა კულტურას შორის.

მაგრამ, რა თქმა უნდა, მულტილინგვიზმის ასევე აქვს უარყოფითი მხარეებიც, რომელთაგან ყველა ერთსა და იმავე ადამიანში არ იჩენს თავს. ესენია: დიდი დროისა და ენერგიის ხარჯვა სხვა სამუშაოს ხარჯზე, ენის შეგრძნების შესუსტება ორი ენის ურთიერთგავლენის გამო, გამოხატვის გაურკვევლობა, ენობრივი დაბნეულობა, ცოცხალი ლექსიკური მარაგის სიმწირე, თანამოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობასთან საერთო სულიერი სიახლოვის დაქვეითება.

მულტილინგვიზმის უპირატესობებისა და მნიშვნელობის ზემოაღნიშნული ასპექტებიდან ცხადია, რომ მულტილინგვიზმის ხელშეწყობა ზეპირ და წერილობით დისკურსებში რაც შეიძლება ადრე და ინტენსიურად უნდა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების პრიორიტეტი. ეს ეხება ბავშვებს როგორც მიგრაციის ფონზე, ასევე მის გარეშე.

ბიბლიოგრაფია

1. Ammon, U./Mattheier, K./Nelde, P.H. (1994): Status und Funktion der Sprachen in den Institutionen der Europäischen Gemeinschaft. In: Mehrsprachigkeit in Europa-Hindernis oder Chance? Perspektiven für Europa. Helfrich, U./Riehl C.M. (Hrsg). Gottfried Egert Verlag.
2. Lüdi, G./Py, B. (1984): Die Sprachenwahl und ihre Erklärung. In: Zweisprachig durch Migration. Einführung in die Erforschung der Mehrsprachigkeit am Beispiel zweier

¹Roth, H.: „Mehrsprachigkeit als Ressource und als Bildungsziel“. In: Kölner Beiträge zur Sprachdidaktik herausgegeben von Hartmut Günther, Ursula Bredel & Michael Becker-Mrotzek Reihe A Detlef Heints Jürgen Eugen Müller Ludger Reiberg Mehrsprachigkeit macht Schule KöBeS (4) Gilles & Francke Verlag. 2006. S.13

Zuwanderergruppen in Neuenburg (Schweiz). Band 24 (Romanistische Arbeitshefte)Max Niemeyer Verlag,

3. Metzler Lexikon Sprache (2000): Herausgegeben von Helmut Glück,Verlag: J. B. Metzler. Stuttgart.
4. Oksaar,E.(2003): Zweitspracherwerb. Wege zur Mehrsprachigkeit und zur interkulturellen Verständigung. Stuttgart: Kohlhammer.
5. Riehl,C.M. (2006): Aspekte der Mehrsprachigkeit: Formen, Vorteile, Bedeutung. In:Kölner Beiträge zur Sprachdidaktik herausgegeben von Hartmut Günther, Ursula Bredel & Michael Becker-Mrotzek Reihe A Detlef Heints Jürgen Eugen Müller Ludger Reiberg Mehrsprachigkeit macht Schule KöBeS (4) Gilles & Francke Verlag.
6. Roth, H.(2006): Mehrsprachigkeit als Ressource und als Bildungsziel. In:Kölner Beiträge zur Sprachdidaktik herausgegeben von Hartmut Günther, Ursula Bredel & Michael Becker-Mrotzek Reihe A Detlef Heints Jürgen Eugen Müller Ludger Reiberg Mehrsprachigkeit macht Schule KöBeS (4) Gilles & Francke Verlag.

Manana Bakradze

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

Manana.makradze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.11>

Multilingualism, its aspects, forms and significance in modern society

Abstract

In my report, “Multilingualism, its aspects, forms and significance in modern society”, I try to explain in detail and shed light on such issues as: What is actually meant by “multilingualism”? Why is it necessary to master as many languages as possible in today’s reality and what are the priorities of those who speak many languages? Where is knowledge of more languages particularly important and which languages are the most prioritized in the modern world? What is the mutual influence of the specificity of individual languages and culture? What are the positive and negative aspects of mastering two or more languages?

Over the past few years, the opportunities and desires to travel abroad, sometimes even the necessity, have been increasing. Such as, for example, exchange programs for students and pupils, study visits, summer jobs, partnership relations, various types of international projects, etc. There are also economic or political reasons; e.g. migration: Many are forced to leave their homeland, parents, children, family, relatives, friends and try to integrate into a foreign country. German-speaking countries such as Germany and Austria are particularly popular, but also Italy, Greece, Spain and the United States. The number of foreigners there is growing almost daily. Even just to exist in a foreign country, it is necessary to know not only the language of the country in question, but also its culture. All this clearly leads to intercultural communication and also to multilingualism, which refers to a person who speaks two or more languages; and this is where problems arise, because intercultural and language learning often takes place in the host country, where it is difficult to separate languages of completely different specificity from each other and study them thoroughly.

Three types of multilingualism are distinguished: *individual*, *territorial* and *institutional* multilingualism. Individual multilingualism concerns the individual speaker, territorial

multilingualism concerns the use of languages in multilingual states or regions, and institutional multilingualism involves the use of multiple working languages in institutions. However, it can be assumed that these different types of multilingualism, in particular, are accompanied by territorial multilingualism.

There are important aspects that contribute to multilingualism: *Psychological aspect*: For multilingual people, the language of origin acts as a carrier of identity, while the target language allows for integration into another linguistic community. *Social aspect*: Language allows people to "read" each other. In multilingual people, this further expands the range of "understanding". *Cognitive aspect*: Multilingual people have a differentiated awareness of language and have a different way of accessing language, which is less rule-oriented and more natural than monolinguals. They have strong metalinguistic awareness and other skills, which also make it easier for them to learn other languages. *Pragmatic aspect*: Multilingual people have a more differentiated view of the world. They study other perspectives through the lens of another language and, therefore, become more flexible in their actions. *Cultural aspect*: Multilingual people, especially representatives of linguistic minorities, have a so-called "bridge" function, that is, they play the role of a so-called mediator between different cultures.

Key words: Multilingualism, prioritized languages, specificity of the languages